საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 8074/1-12
თარიღი/DATE 04.10.12
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia

ცვლილება ნომერი ორი

"ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-002

2012 წლის 28 სექტემბერი

ცვლილება ნომერი ორი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება").

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ 1-ში ("განვრცობილი აღწერა") და

ვინდაიან, USAID-სა და გრანტის მიმღებს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ (ა) მთლიანი თანხა გაიზარდოს $17,710,000-ით $91,850,599-დან $109,560,599-მდე, რათა გამოყოფილი იქნას დამატებითი დახმარება ახალი პროექტებისა და მყარი ნარჩენების მართვის საქმიანობებისათვის; ბ) USAID-ის მთლიანი დახმარება გაიზარდოს, რათა ასახული იქნეს ზემოაღნიშნული ზრდა; გ) განახლდეს ხელშეკრულების დანართი 1-ის ცხრილი 1 "USAID-ის ფინანსური გეგმა", ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით; დ) შეიცვალოს ქვეყნის გეოგრაფიული კოდი, რომელიც მოიცავს ყველა დასაშვებ ქვეყანას; ე) შევიდეს ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ის ("განვრცობილი აღწერა") მე-6 (ა) ნაწილში ("ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა") სადაც აისახება USAID-ის მთლიანი დახმარების თანხა $109,560,599; ვ) შევიდეს ცვლილება

წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ის ("განვრცობილი აღწერა"), რათა გათვალიწინებული იქნეს მყარი ნარჩენების მართვის საქმიანობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტი, - "გრანტი", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

   "(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასცხრა მილიონ ხუთას სამოცი ათას ხუთას ოცხმოცდაცხრამეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($109,560,599) (შემდგომში, "გრანტი")".

2. ხელშეკრულების 3.1 (ბ) პუნქტის ("USAID-ის მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა") პირველი წინადადება, – წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

   "(ბ) USAID-ის მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა. ამოცანის შესასრულებლად USAID-ის სააგენტოს მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა შეადგენს ასცხრა მილიონ ხუთას სამოცი ათას ხუთას ოცხმოცდაცხრამეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($109,560,599), რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით.

3. დანართი 1-ის VI (ა) ნაწილის მოცემული თანხა "$93,792,842" წაიშალოს და შეიცვალოს "$109,560,599";

4. დანართი 1, ცხრილი სახელწოდებით "USAID-ის ფინანსური გეგმა: ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 ფინანსური წლებისათვის" წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

	თავდაპირველი ვალდებულება	ცვლილება ორის ვალდებულება	მთლიანი ვალდებულების თანხა	ოდენობამდე
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლებით უზრუნველყოფა	34,668,597		34,668,597	34,668,597
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	20,206,435		20,206,435	20,206,435
საინჟინრო სამუშაოები და ზედამხედველობა	4,777,396		4,777,396	4,777,396
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	20,473,321		20,473,321	20,473,321
ეკონომიკური ზრდა	10,723,243	3,261,870	13,985,113	13,985,113
ახალი პროექტი		13,158,130	13,158,130	13,158,130*
მყარი ნარჩენების მართვის პროექტი		1,290,000	1,290,000	1,290,000
პროგრამის მხარდაჭერა	1,001,607		1,001,607	1,001,607
ჯამი	91,850,599	17,710,000	109,560,599	109,560,599

*შენიშვნა: აღნიშნული თანხა მოიცავს $1,942,243-ს, რომელიც გათვალისწინებული იყო 2012 ფისკალური წლისათვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების კომპონენტის მთლიან მიახლოებით თანხაში.

5. დანართი 2-ის "სტანდარტული დებულების", მუხლი გ.1 (ა), მოცემული ჩანაწერი "000 ან 110" (საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, და ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნები) წაიშალოს და შეიცვალოს "937";

6. დანართი 1-ის "განვრცობილი აღწერა" V(ა) ნაწილის მეოთხე აბზაცის შემდეგ ჩაიწეროს:

მყარი ნარჩენების მართვა. საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო და კერძო სექტორებში ინვესტირების და ამ სექტორებში დასაქმების შესაძლებლობების შექმნასთან ერთად, USAID-ი მხარს დაუჭერს მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის საქმიანობებს და ახალ ინვესტიციებს მყარი ნარჩენების შემცირების, უტილიზაციის, სხვა

დანიშნულებით გამოყენების კუთხით და ასევე გადამუშავებული მასალების ბაზრებს. ეს თავის მხრივ მოიცავს ნარჩენების მოგროვებას, გადამუშავებას დაპრესვის სესტემებს, მყარი ნარჩენების სტრატეგიას და სატარიფო პოლიტიკას, სახელმწიფოს მხარდაჭერის არეალის გაფართოებას. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, რომელიც იმყოფება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MRDI) დაქვემდებარებაში პასუხისმგებელია მყარი ნარჩენების მართვის საკითხებზე საქართველოს რეგიონებში (აჭარისა და თბილისის გარდა). საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია გეგმავს შეამციროს ნაგავსაყრელების რაოდენობა. ნაგავსაყრელის დახურვისა და გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირების ზომები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი გავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე."

7. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ორს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

საქართველო:	ამერიკის შეერთებული შტატები
---	---
სახელი, გვარი: ალექსანდრე ხეთაგური	სახელი, გვარი: Jonathan M. Conly
თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი	თანამდებობა: Mission Director USAID/Caucasus

ცვლილება ნომერი ორი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.